

# სასამართლო კურსები

სასამართლო კურსები

გაზეთი № 364

დამატების № 65

გვირა, 23 აგვისტო 1915 წ.

ვარლამ გელოვანის გარდაცვალების ნახევარი წლის შესრულების გამო



ვარლამ გელოვანი სტუდიობის დროს.




ვარლამ გელოვანი ბავშვობაში  
(სდგას მარჯვნივ).



ვარლამ გელოვანი მოზაფეობაში  
დროს (ზის).

სამაჰადიანო საქართველო  
აც ძველი მესეთი



გათოშის მიდამოები. არდანუჯის გზა.



უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფრო-  
სად ნამყოფი გენერალი იანუშევიჩი დანი-  
შნული კავკასიის მეფის მოადგილის თა-  
ნაშემწედ.

ვუპლინი ჩემს მას  
ვაზა-ფავალას

სიკვდილი აღარ მახსოვდა,  
მითომ მა ვნახე მომრჩალი\*)  
ცხენით აფხუშოს\*\*) მოვიდა,  
გამოვევებე საწყალი,  
ძალან დაწუხებული,  
როგორც მზისათვის დამზრალი.

ხელი მოვხვიე, ვაჭოცე,  
უნდა დამესვა მაშერალი.

შევხედე: ოქრიალი დადგა —  
ჯარით აიგსო სახლკარი.

ეძერნენ შესაპყრობადა.

იმან მანიშნა: „დაჰკარი!“

დავსჭივლე გაცოფებულმა,  
ამოვეწვადე ხანჯარი:


„გაუშვით, თორემ თავზედა  
დაგეცით სისხლის ავდარი“. ბაჩანა.

ამ დროს ყორანი მოფრინდა,  
ვაჟა შეისვა მხრებზედა  
და ცისა სიგრცეში გაჰქრა  
ერთის თვალისა წამზედა.  
უჩინარ იქმნა ჯარიცა  
იმავე ყორნის კვალზედა.  
გამომელვიძა, ქსტიროდი,  
ცრემლი მდიოდა თვალზედა.  
ძნელია მგლოვიარობა,  
ისაც საყვარელს ძმაზედა.  
როსნამდე უნდა გიგონო,  
მიწა მიყრილი ტანზედა,  
მუდამ მოუვალს გელოდო,  
თვალი მეჭიროს გზაზედა;  
ჩუმად და ცხადად ვიტირო,  
გული ვაბჯინო ქვაზედა?

\*) მა — ვაჟა-ფშაველა.

\*\*) აფხუშო — ადგილი, სადაც მე ესცხოვრობ.

საერთაშორისო ომი



ავსტრიელების საალყო ზარბაზანი.

პრაპ. ნიკოლოზ ქავთარაძე  
(დაჭრილია)პრაპ. მიხეილ სიდამონ-ერისთავი  
(დაჭრილია)კორნეტი თავ. ნიკოლოზ ამილა-  
ხვარიპრაპ. ზაქარია ორჯონიშვილი  
(დაჭრილია)

## სიცვლილე

ნოველა, გ. ფონ-ომილედისა.

თ წეს უცის მათ და სათი სდგას; ღამის წყვდიადში სულ შეჩერდა ისრის სრბოლა... აღსრულდა!... და ისარი კვლავ დაიძრა თუ არა, ნელა, წუთიც გაფრინდა.

ჰიონტე.

მახსოვს, პატარაობისას პირველად რომა ენახე მიცვალებული. ოდენა შეგნება არ დაბადებია, რომ ადმინისტრის მთელ არსებობას შერტილი დასმოდა, არც თუ ბუნდოვანი წინადგრძნობა მაინც აღმდეგია ამ მოვლენის სილიადისა. ეს პეტრენში მოხდა, მონასტრის ექლესიაში. ცნობის-მოყვარეობისა გამო შევედით ბავშვები შიგ. სან-თლის გალადადებულმა შუქმა, ღია კარებში რომ გამოიიდა და ქუჩის საღმოს მყუდროებასა და ბინდს არღვევდა, მიგვიზიდა. შევედით და უცებ თვალში გვეკა მთავარ საკუროხეველის წინ, შემაღლებულ ადვილზე მიცვალებული. ბერის უბრალო ანაფორა ეცვა, გულ-ხელი დაეკრიფა და სანთელივით დამდნარ ხელში ჯვარ-ცმა ეჭირა. სანთლის შუქს მიცვალებულისათვის ბრწყინვალე სუდარა გადაეფარებინა.

როგორც იყო მოვახერხეთ, მივედით სულ ახლო და დაწვრილებით დავათვალიერეთ ეს უცნაური მოვლენა... რადგანაც ეს ნამდვილი სასაწაული მეგონა, რაღაც აუსინელი, განუმარტებელი, დიდხანს შევყურებდი გაქვავებულს, ცოტა ჩამომხმარ სახეს, ერთი წვეტი სისხლი რომ აღარ ემჩნეოდა და ვერ გამეგო, ის კაცი რაღაც იწვა, რატომ არ აღარ ემჩნეოდა და ვერ გამეგო, ის კაცი რაღაც იწვა, რატომ არ აღგებოდა... შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე გაახელდა თვალს, არ აღგებოდა... შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე მრავალი სანთელი, ბერების გალობა, მლოცველები. არ მეპარებოდა კურილან პატრუების ტკაცუნიც და ისიც, რომ ერთი სანთელი გვერდზე იყო გადაწვენილი; მსხვილი ცრემლებიგით ჩამოდიოდა სან-თელი და ძირს დაცემისას, იყიდებოდა. ნაკლებ თანაგრძნობას იწოდებოდა ჩემში ის, რაც ჩემ წინა ხდებოდა და მინდოდა მხოლოდ ის ვევდა ჩემში ის, რაც ჩემ წინა ხდებოდა და მინდოდა მხოლოდ ის საბორილი როგორმე გამესწორებინა.

მე ვერ მივწვდი, ვერ შევიგენ სიღიადე სიკვდილის. მერმე ვთხოვე ჩემნებს აეხსნათ ის ჩემთვის. მაგრამ ჩემნებს არ უნდოდათ ჩემი ბავშვური სული შეეძრწუნებინათ და ისე, გაკვრით შეენებ მხოლოდ საკითხს. ვერ გავიგე მაინც. და ბუნდოვანი შიში, ტკბილ საქმის სუნთქმი და იმ უძრავს, ყვითელ ქაცხე, სანთლის დე-დოფალისასვით რომ იწვა, მოგონებას რომ იწვევდა ჩემში, ღრმა, შემინდა ნერგიულ ზიზღად გადაიქცა და გულში აღმიძრა ზარი შიშისა ჩემი, შეუგნებელი...

ესეც შემდეგ მოხდა. ერთხელ ბავშვები სასეირნოდ გაგზავნეს ლაქიასთან ერთად. იმას რაღაც საქმე პეტრი მრეცხავ დედაკაცათან, თრავფის ნაპირზე რომა სცხოვრობდა, საღაც მდინარე ტბას ერთვის. პატრიში შემოდგომის სიგრილეს გაეშალა ფრთხები. თითქოს ეკალრბილში ატანდა სიგრილე იგი მეტადრე აქ, რაღაც მდინარე

სწრაფად მოშეულდა, წინწერები ნისლად აღიოდა მაღლა და მერმე სცრიდა. არ ვიცი რად, ცდა მოგვიხდა და ჩემნმა ლაქია პატარა სულ უბრალოდ მოწყობილ ოთახში შეგვიყვანა. უკან, ოთახში საწოლი იდგა. ხის ჩარჩო პეტრი ზემოდან და მერმე ჩარსავი გადაფარებული, იმ მხარეში საწოლებს ხშირად ამგვარ სახურავებს უკეთებენ ხოლმე.

ფანჯარასთან იჯდა ერთი მრეცხავთაგანი და ვაშლსა სჭიმდა. ოთახში დამპალი ხილის სუნი იდგა. რავი ოთახი პატარა იყო და სკმებიც საქმა არ იყო, იქ მყოფმა ერთ-ერთმა ქალწულმა სიცილით მტაცა ხელი ხელზე და ჩარჩოზე ჩამომსვა, საწოლს რომა პეტრი და გადაფარებული. მაგრამ დამპალმა ჩარსავმა ვერ დამიმაგრა, ჩინია და მე ქვემ ჩავარდი.

მაგრამ არ გეგონოთ ჩბილ ლოგინშე დავუცი, არა, რაღაც მაგარი დამხედა ქვეშა. ლოგინს დავხედე და... უცებ დაღმეჭილი, ყვითელი, ბებრის ხელი დაინიახე...

შიშის ზარი დამეცა აუწერელი. როგორც იყო ამოვფოფხდი და კარებს ვეცი. ქალები ხარხარებდნენ. მე კი ხმა-მაღლა ვყვიროდი. სწორედ იმ აღაგას, საღაც ჩარჩო გაწეულიყო და მე ჩავარდი, თხელ ქსოვილში ნათლად მოსჩანდა სახე და ვეება ცხვირი. ეს ამ ქალების დედა ყოფილიყო, რომელიც იმ ღამეს გარდაცვლილყო.

შიშმა შებოჭა მთლად ჩემი ნორჩი გული და სული უმანქო ამიღორიაქა

სიკვდილის ზარი აღარ მცილდებოდა იმის შემდეგ.

წამოვიზარდე, მაგრამ შიში იგი, ციებ-ცხელების მომგერელი, არა მშორდებოდა.

პაპა მომიკვდა. ყველა შვილი-შვილები გაყინულ ხელზე პეტრი ნიდრენ, — მე არ მივარებივარ. ვგრძნობდა მხოლოდ, რომ იმისი სხეული ჩემთვის უცხო იყო, მეზიზებოდა, მეზიზებოდა... სულ ის მეჩვენებოდა, თითქოს კივი, მომჩვარული ხელებით ის ზურგში მწვდებოდა. დარდიც, ვარამიც მის გარდაცვალებით გამოწვეული, შიშმა შიშმა, მე რომ დავეცარი და შევებორებე.

ვერ წარმომიდგენა, როგორ შეიძლებოდა მიცვალებული მყვარებოდა. შემდეგ, ცხოველაში, იგუვა ზარი სიკვდილისა მდევნდა მე. იხალ-ახალი, სხვა და სხვა შემთხვევა მას ჰქონდავდა, აძლიერებდა.

ერთხელ დრეზდენის ძეველ სიმაგრის ახლოს „ფუტბოლსა“ ვთავაშობდით ბავშვები. ბურთი უცებ ძლიერ გაპკრეს, სათამაშო მოედნის იქით გადავარდა და თხრილის ნაპირს დაეცა, სიმაგრეს რომ პეტრიდა ირგვლივ შემოვლებული. მაგრამ ბურთი აქ არ გაჩერებული. გაგორდა პატარა კიდევ და თხრილში ჩავარდა... კისრის ტეხი პეტრელი მე. სისხლი მიღულდა ძარღვებში, ძალა მოჰარბებული მეტნდა და კუნტრუშით დავექვან თხრილის ფურდოზე. მიწა იმლებოდა, ფეხი მიცურდებოდა, წამისრიალდა კიდევ და როცა შევიმაგრე თავი და შეგჩერდი, გვერდით მიცვალებული დაიგინახე. აღბარი მოქანცულიყო, სიცოცხლე მოსაგებოდა, ამოერჩინა ეს განმარტოვებული ადგილი, სიცოცხლესთან არ განახორციელდა.

დიდხანს მიღვა ხოლმე ამის შემდეგ თვალშინ იმისი გაჲეჭყილი თავი. მთელი წლობით ველარ აღმომეფხერა ეს სურათი გონებიდან. საშინელი, დახრუტილი კბილები, დაფლეთილი სხეული, დაწყვეტილი ძარღვები თიშიც კი მელანდებოდა და მთელი კვირეები მღვიმარესაც უკან მდევდა.

გაიარა მრავალმა წელმა. დაქმშვიდდი უფრო. ბავშვობის შთაბეჭილებანი განჯარდნენ, ყრმობის საშინელი მოქენებანი მიმქრალდა, მაგრამ შიში სიკვდილისა მაინც სკოცხლობდა ჩემში. ყოველნაირად ვცდილობდი მიცვალებული არ მენახა და საგანგებოდ ვერიდებოდი რამე ამგვარ შემთხვევას.

და დახე, ბერლინზე რომ გავიარე, ერთხელ, მძიმედ შეიქმნა ავად ჩემი საუკეთესო მეგობარი, მშვენიერი, კარგი, სათო ადამიანი, მართალია გარეგნობით უსახური, მაგრამ კეთილშობილი, დიადი სულისა. იმის სიცოცხლის უკანასკნელი უამი იმის თავთან გავატარე სადა, უბრალო საწოლოთან, მესამე ხარისხოვან სასტუმროში, რადგან მეგობარი ძლიერ ხელმოკლე იყო.

სრული დამშვიდებული მელაპარაკებოდა ის, — ფრიად თავ შეკავებული, თითქმის მხარული. იცოდა, რომ ალსასრული ახლო იყო და მეორე დილამდე ველარ გააღწევდა. ბევრი რამ კი უნდა მოგველაპარაკანა, ვიდრე სული ამოხდებოდა. მშობლები, მახლობლები არა ჰყავდა, მაგრამ უნდოდა იმათვის გაეყო თავის მცირედი რამ, რაცა ჰქონდა, რომელნიც ცხოვრების ასპარეზზე შეკროდა და მისთვის თანაგრძნობა განეზიარებინათ. ამას გარდა ცოტა რამ იმაზეც უნდოდა მოეხდინა განკარგულება, რომ სასტუმროს პატრონისათვის ზარალი ენაზღაურებინათ, რომელიც მას იმისი სიკვდილით მოუვიდოდა. დამშვიდებული მიამბო ავადყოფმა, რომ სასტუმროს პატრონი თხოულობდა, მე საავადმყოფოში გადავყენები და აქ არ მომკდარიყვი, მაგრამ უქიმბა არა ჰქნაო.

— აქ რომ მოვკდე, — სასტუმროს პატრონი იძულებული იქმნება ხელ-ახლად გააკრას ქაღალდი რთახის კედლებს და მოწყობითაც ახლად მოაწყოს დგამით. ამიტომ იზრუნვე როგორმე, სასტუმროს პატრონი ხელმოკლე კაცია და ზარალი არ მოუვიდეს.

აღვეუტევი ყველაფერი ისე მომეწყო, როგორც საჭირო იყო. შემდეგ იმაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, რომ ექიმი მოვიდოდა და რომ უკვეველია იმას თავისი საქმე კარგად ესმოდა. უკვე ძლიერ იყო დაგვიანებული და შეგვპირდა იგი, რომ მეორე დღეს, რაც შეიძლებოდა დარე მოვიდოდა.

ბოლოს სიკვდილზე ჩანს ავადმყოფმა. კარგად იცოდა, რომ მე სიკვდილისა ძალიან, ძალიან მეშინოდა და რომ დაგვრწენებინე — იგი ისევ ცოცხალი იყო, თავისი გამხმარი ხელი გამომიწოდა და მაჯა გამასინჯინა.

შემდეგ, თითქოს ცოტა ხმის კანკალით, მკითხა — შემეშინდება იმისიც, როცა მოკდება, თუ არა.

— არა, არ მოკდები მეთქი — და ქვითინი ამივარდა. ცრემლმა ჩამიხრჩა სიტყვა ყელში.

მაგრამ მეგობარმა მხოლოდ თავი ჩაიქნია სევდიანი. კარგადა გრძნობდა, კარგად იცოდა, რომ ველარ იხილავდა, მზე როგორ შემოუტყივდა იმის პატი რთახში.

და სიკვდილზე ბაას განაგრძობდა.

სკდილობდა დაგვრწენებინე, ვენუგეშებინე. სიკვდილი არ მარტებს, სიკვდილისათვის მზადა ვარო. და შემდეგ ნელა, გაუბედავად თითქმის მორცევით, თითქოს დასაძრახისი იყო ის, რაც უნდა ეოჭვა, დაიღაპარაკა:

— არ გეგონოს, რომ სიხარულით მივდივარ ამ ქვეყნიდან, სიამოვნებით ვიცოცხებდი პატარას კიდევ, პატარას, სულ ცოტას ისე მინდოდა ჩრდილოეთისკენ ყოფნა, ნახვა აი თუნდ ვენეციისა, მინდოდა, მინდოდა, მაგრამ დღემდე ამისათვის გროში არ გამოჩნდა..

პასუხს ვერ ვაძლევდი და ჩუბადა ვტიროდი, ის განაგრძობდა:

— და კიდევ... მინდოდა, მინდოდა ცოტა რამის გაკეთება. მაგრამ თუ სე იყო საჭირო, — მე მზადა ვარ. და ბოლოს სე მაინც უმჯობესი იქმნება.

პატარა ხანს გაისუმდა, ფიქრს მიეცა, გარინდდა.

რომ გამოიუხიზლა, ისევ სიკვდილზე გააბა ლაპარაკი, მხოლოდ ეხლა სრული დამშვიდებული უბნობდა, ვით ფილოსოფოსი, შემეეთხა, შენთვის რომ შეერჩევინებინათ სიკვდილი და სიცოცხლე, შენ რო-

მელს ამოირჩევდიო, ვცადე გამერთო და სხვა რამეზე ჩამომეგდობასი, მაგრამ ის კვლავ სიკვდილს უბდუნდებოდა, ამბობდა, რომ ჩენენი მდგომარეობა დაბადებიდანვე, ვიდრე შევიცნობდეთ თავსა ჩენენსა, უდიდესი ბედნიერებაა და, უკველია, სიკვდილის შემდეგაც იგივე მდგომარეობა განმეორდებათ. ამგვარად სიკვდილის უამი ბენიერებას უდრის, თვით სიკვდილი კი მშვიდობასა და განსვენებას.

რადგანაც ექიმისაგან ვიცოდი, რომ ჩემი მეგობარი ცოცხალი კიდეც რომ დარჩენილიყო, სულ ერთია მომავალში თანდათანი, აუცილებელი გართულება ელოდა სენისა და ბოლოს ტანჯვითი სიკვდილი, გულში უნდა დაგვაბულებიყვავი, რომ ის მართალი იყო.

ის კვლავ განაგრძობდა:

— ჩემთვის რომ ეთქვათ-ემბლება სიკვდილილისა აირჩიეო, უარყოფიდი საერთოდ აღიარებულ სიბოლოს მის ასეტიურ ქრისტიანობისას, არ ავირჩევდი ჩონჩხს. მაკრია, ცივი, უსიმოწმო. ტყუილია....

რომ მეგობარი როგორმე გამერთო, ვკითხე — როგორ წარმოგდებია შენ სიკვდილი მეთქი. მის მქრალ, თხელ ბაგეზე ლიმილი აღიბეჭდა და ოცნებით წარმოსთქა:

— სიკვდილი წარმოგდენილი მყავს მშვენიერ, ტურთა ყმა წვილად, ფრიად ღინჯია, გარნა მშვიდი. ჩაფიქრებული... ჰენია, გვერდზე გადავარდნილ, ჩამქრალ კერონით (ფაქელით) ხელში...

სხვა არაფერი უთქვემს. ჩაძინა.

დიდხანს ვუგდდებდა ყურს მის ლრმა სუნთქვას. ბოლოს მეცნილი მომერჩია.

პატარა ხანს უკან, ყინვამ წამამახტუნა, გონს მოველ უცებ და პირველად მეგობარს გადავხელე. მაშინვე მივხდი, რომ გარდაცვლილიყო. მაინც მინდოდა გული დამერწმუნებინა და ხელზე წავავლე ხელი — ცივი იყო, ვითა ყინული.

მაგრამ გული არ შემქრთობია, შიშის ზარი არ მიგრძვნია, დამშვიდებული გაუსწორე გაბინული თითები, ნელა მოვუხუჭე ნახევრად ლია დარჩენილი თვალები, საბანი ცოტა ზევით ამოუშვი. შემდეგ სკამი გადავდგი უკან, საწოლთან რომ იღვა, მივედი ფანჯარასთან და ფარდა გადავწი. მინდოდა განთიადზე მზეს პირველად შემოეხელდნ მიცავალებულის პატი, ღატა კოტა მა-ლე, მა-ლე, მალე უნდა ამოსულიყო...

შემდეგ მიცავალებულის პირდაპირ დავჯეჭი და ცერა დავუწყე... სანაო სახეს უშუქებდა, სახეს ათასჯერ და ათა-ათასჯერ რომ მიმზერდა ხოლმე მეგობრულის ლიმილით, ბაგეს, რომლისაგან შე მხოლოდ მეგობრობა, მხოლოდ ის, რაც კარგია, მშვენიერი, მესმოდა და რომელიც აღარასდროს მომართავდა, აღარასდროს გამაგონებდა, აღარასდროს...

ისე მეჩვენებოდა, თითქოს ზემო ტუჩი ცოტა ჩავარდნოდა, ცვეირი გასწვეტიანებოდა და უფრო გასწორებოდა. და სახე მიცვალებულისა, ისე ულაზათო, უშნო სიცოცხლის დროს, ეხლა სამარად-შამო განსვენების ბეჭედ დაკრული, ტურთა, მშვენიერი მეჩვენებოდა. ზედ აღებდონდა სიადიადე სიკვდილისა.

წარბ-შეუხელელად შევყურებდი ნეშტის, რომელიც ერთ დროს ჩემს მეგობარს წარმოადგენდა.

განჯრა შიში სიკვდილისა.

ჩიკვდილ-სიცოცხლის იდუმალებაზე ვოცნებოდა. მომაგონდა უკანასკნელი სიტყვები, ერთმანეთს რომ გამოველაბარაკეთ და სიკვდილი საშინელი, საზარელი აღარ მომჩერენა, არამედ როგორც მანუგეშებელი რამ, მშვიდი, წყნარ, უკანასკნელი, ერთგული მეგობარი...

და მრწამდა, რომ როცა შემდეგ მეც შემეხებოდა იგი თავისი სუნთქვით, მშვიდად გამანათვისუფლებდა, როცა მომიდუნდებოდა სახსრები, ძარღვები სიმაგრეს, სიცოცხლეს დაჭკარგავდნენ, მე შევეგებებოდი სიკვდილს, როგორც მანაბელელს მშვიდობისა და განთავისუფლებისას.

და მომჩერენა, რომ მიცავალებულის თავთან, ის საწოლზე იდგა მშვენიერი ყმაწვილი, ჩაფიქრებული, დანალელიანებული სახის. გვერდზე გადავარდნოდა კერეონი, ხელში რომ ეჭირა, და იგი ნელ-ნელა ჰქერებოდა...

სანგანიძე.